დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს „კოლეჯი მესამე სამედიცინოს" საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)" მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნინო თამაზაშვილი
წევრები:
მაია ომიაძე
ნანა ვერულაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი მესამე სამედიცინო
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 404935273

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ გეგმიური

☐ არაგეგმიური

■ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 16 იანვრის N32970 ბრძანების (ცვლილება ბრძანებაში N84610- 29.01. 24) საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს ,,კოლეჯ მესამე სამედიცინოში“ საგანმანათლებლო პროგრამის - „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, ბ.დ) კომპონენტის, ასევე დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა); ა.ბ) კომპონენტების; გ) ქვეპუნქტის გ.ა); გ.ბ) კომპონენტების; დ) ქვეპუნქტის დ.ა); დ.ბ) კომპონენტების, ე) ქვეპუნქტის ე.ა); ე.ბ) და ე.გ) კომპონენტების შესრულების შემოწმება.
ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 30 და 31 იანვარს შპს ,,კოლეჯ მესამე სამედიცინოში“ (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N142). ვიზიტი ჩანიშნული იყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა წინა წარმოების ფარგლებში გაცემული როგორც შესაბამისობის, ასევე განვითარების რეკომენდაციების შესრულება. ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ფარმაცია (სააფთიაქო)	40	40	1	3

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ფარმაცია სააფთიაქო	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

III სტანდარტი

3.2.1 4. დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს დამატებითი არაფორმალური აქტივობების შეთავაზება პროფესიული სტუდენტებისათვის, სისტემური შეხვედრების ორგანიზება ფარმაცევტულ კომპანიებთან, ცხოვრების ჯანსაღის წესის პროპაგანდა, შემეცნებითი ღონისძიებების მხარდაჭერა, დასაქმების ფორუმებში აქტიური მონაწილეობა და ა.შ. (დეტალური ანალიზი იხილეთ ინდიკატორის აღწერაში)

IV სტანდარტი

4.2.1. 1 . ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციაა დაწესებულებამ უზრუნველყოს კვლევის კითხვარების გადამუშავება სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით და შესაბამისი მხარდამჭერი აქტივობების ორგანიზება ადმინისტრაციული პერსონალისთვის, საქმისწარმოების, ადამიანური რესურსების მართვის, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირების მიზნით. (დეტალური ანალიზი იხილეთ ინდიკატორის აღწერაში)

4.2.1. 3. ექსპერტთა მხრიდან გაცემულია განვითარების რეკომენდაცია დაწესებულებამ სისტემურად განახორციელოს პერსონალის განვითარების ღონისძიებები, მათ შორის მიზნობრივი გამოკითხვის ან ინტერვიურების გზით გამოკვეთოს საჭიროებები, პერსონალის შეფასების ჯვარედინი მეთოდის გამოყენებით განსაზღვროს გასაუმჯობესებელი მხარეები, ხოლო სისტემაში არსებული სიახლეების, ტენდენციებისა და განვითარების მიმართულების მიხედვით ორგანიზებულად დაგეგმოს და განახორციელოს პერსონალის უწყვეტი განვითარების აქტივობები, პერიოდულად მიიღოს პერსონალის უკუკავშირი ჩატარებული ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების და სხვა სახის ღონისძიებების შედეგების თაობაზე და დააკვირდეს პროცესების გაუმჯობესების მიმდინარეობას. (დეტალური ანალიზი იხილეთ ინდიკატორის აღწერაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V სტანდარტი

5.2.2. 1. ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციაა „საქმისწარმოების ინსტრუქციაში“ ჩაიშალოს როგორ ხორციელდება დაწესებულებაში შიდა დოკუმენტბრუნვა, ასევე დოკუმენტბრუნვის გაუმჯობესებისა და მიმოცვლის გამარტივების მიზნით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია დამატებით შეიძინოს ელექტრონული სისტემის (eflow) მომხმარებელი ადმინისტრაციული პერსონალისთვის და დაგეგმოს მიზნობრივი ტრენინგები. (დეტალური ანალიზი იხილეთ ინდიკატორის აღწერაში)

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2.4.1. 1 ინდიკატორში დასკვნის პროექტში იყო ტექნიკური უზუსტობა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ 2023 წლის მიღების პროფესიულ სტუდენტებს გავლილი ჰოქნდათ ორი მოდული პარტნიორ ორგანიზაციაში. დასკვნის პროექტში მითითებული იყო მოდული „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“ ნაცვლად მოდულისა „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“. შესაბამისად აღნიშნული დაკორექტირდა ინდიკატორის აღწერაში.

2.4.1.3 ინდიკატროში დასკვნის პროექტში იყო ტექნიკური უზუსტობა, ნახსენები იყო სიტყვა „აკადემია“, რომელიც არ ეკუთვინს აღნიშნულ კოლეჯს. შესაბამისად აღნიშნული გასწორდა ინდიკატორის აღწერაში.

2.4.1. 4 ინდიკატორში დასკვნის პროექტში იყო რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი, რომელიც გასწორებულია.

3.2.1.5 ინდიკატორთან მიმართებაში კოლეჯის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი განმარტავს, რომ დასკვნის პროექტში ნახსენები წლები 2021-2022 წლის ჩატარებულ კვლევასთან დაკავშირებით, წარმოადგენს ტექნიკურ უზუსტობას და ინდიკატორის შინაარსობრივ აღწერას არ უკავშირდება. ამასთან, 3.2.2. კომპონენტთან მიმართებით, ყველა ინდიკატორის აღწერაში მითითებულია კოლეჯის მიერ ჩატარებული 2022-2023 წლის კვლევის მონაცემები, შესაბამისი დასაბუთებით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

კოლეჯის მისიაა - ,,კოლეჯი მესამე სამედიცინო, მრავალპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის წამყვანი მიმართულებაა ჯანდაცვა, რომელიც ზრუნავს კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიონალების აღზრდაზე; რისთვისაც უზრუნველყოფს, მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების მიღების შესაძლებლობას, სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში. ,,კოლეჯი მესამე სამედიცინო" პროფილური დაწესებულებაა, ამ ეტაპზე ახორციელებს ჯანდაცვის მიმართულების ორ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. კოლეჯის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს და პასუხობს ისეთ საკვანძო კითხვებს როგორიცაა: რისთვის არსებობს ორგანიზაცია, ვინ არის მომხმარებელი და რომელი კონკრეტული საჭიროების დაკმაყოფილებას ცდილობს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მისიაში დეკლარირებულია მისი საქმიანობის ძირითადი პროფილი - ჯანდაცვის მიმართულება. ორიენტირებულია ამ მიმართულების ხელშეწყობი პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე. მისია არის მოკლე, გასაგები და მამოტივირებელი, ამასთან ხაზს უსვამს კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიონალების აღზრდას, მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების მიღების შესაძლებლობისა და სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მნიშვნელობას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

დაწესებულების ხედვა არის გაზომვადი და იკითხება განვითარების მიმართულება. ის აკონკრეტებს მიღწევის პერიოდს და აკეთებს ამბიციურ განაცხადს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში იქნება ხარისხთან ასოცირებული კოლეჯი. დაწესებულება ღირებულებებში ხაზს უსვამს განვითარებისკენ სწრაფვას, გუნდურობას და პროფესიული განათების უწყვეტობის ხელშეწყობას. აქედან გამომდინარე დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან.

პსდ-ს ღირებულებებში იკითხება, ის ძირითადი პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც დაწესებულება გეგმავს მისიაში და ხედვაში გაცხადებული მიზნების მიღწევას. კოლეჯის მიერ შემუშავებული ღირებულებები ხაზს უსვამს დაწესებულების ორგანიზაციულ კულტურას და დაინტერესებული პირებისათვის ქმნის წარმოდგენასა და მოლოდინებს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე (https://medicalschool-3.edu.ge) მოცემულია როგორც პროფესიული საგანამანთებლო პროგრამების კატალოგში, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელ დებულებაში. აღნიშნული დოკუმენტები განათვსებულია დაწესებულების ვებ- გვერდზე.

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებები გაცნობის ფურცლები, რომელსაც პესონალი და პროფესიული სტუდენტები ხელმოწერით ადასტურებენ.

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მიხედვით განსაზღვრულია სტრატეგიული დოკუმენტების გაზიარების მექანიზმები. მიხედვითაც კოლეჯში დოკუმენტაციის გაზიარებისთვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:დაწესებულების ვებგვერდი,სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტაციის ელექტრონული ბრუნვის სისტემა და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთ ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის პერსონალსა და პროფესიულ სტუდნეტებს. გასაუბრებით დასტურდება დასტურდება დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში კოლეჯის საზოგადოების ჩართულობისა და მათ მიერ გაზიარების ფაქტი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია კოლეჯის ვებ გვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
2. დაწესებულების ვებგვერდი (https://medicalschool-3.edu.ge/)
3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 02 სექტემბრის №55 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია"; (ბოლო ცვლილება 2023 წლის 31 მაისის N23 ბრძანება);
4. გაცნობის ფურცლები;
5. პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

1. **პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;**

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 02 სექტემბრის №55 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ უკანასკნელი ცვლილება განხორციელებულია 2023 წლის 31 მაისის N23 ბრძანებით. მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები და დაგეგმვის პროცესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენასთან და დამტკიცებასთან დაკავშირებული პროცედურები, გეგმების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი, ანგარიშების წარდგენა და ცვლილებების მომზადების ეტაპები. საწყის ეტაპზე დაწესებულება აკეთებს არსებული მდგომარეობის ანალიზსს. ხედვისა და მისიის განსაზღვრა, არსებული ვითარების ანალიზი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მომზადება, განხორციელება, გეგმის მონიტორინგი და შეფასება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში დაწესებულება იყენებს SWOT ანალიზს, რაც გულისხმობს კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გაანალიზებას. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცედურებია: სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება; სტრატეგიული დოკუმენტების პროექტების გაზიარება დაინტერესებული მხარეების ვიწრო წრისთვის; დაინტერესებული მხარეების ვიწრო წრისგან მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საბოლოო სახით ფორმირება და კოლეჯის დირექტორისთვის მიწოდება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება და გაზიარება დაინტერესებული მხარეების ფართო წრისთვის.კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვა ციკლური ხასიათისაა, გათვლილია 7 წლიან პერიოდზე და ითვალისწინებს სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის საჭირო ამოცანებს, განხორციელების ვადებს (წლების ჭრილში) და შესრულების ინდიკატორებს, რომელთა საშუალებითაც მოხდება მასში მოცემული მიზნების მიღწევის შეფასება.

წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაცია იყო ,, 1) კოლეჯმა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვროს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა (ჯგუფის წევრთა თანამდებობა/სტატუსი), მაგალითად სამუშაო ჯგუფის ძირითადი (ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმძღვანელები) და ცვალებადი წევრები (პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პარტნიორები და სხვ). 2) რეკომენდებულია დაწესებულებამ ცალსახად განსაზღვროს ვის მიიჩნევს კოლეჯის თანასაზოგადოების წევრებად. 3) რეკომენდებულია დაწესებულების მეთოდოლოგიური დოკუმენტი ცალსახად განსაზღვრავდეს კოლეჯის სამოქმედო გეგმის შედგენის პერიოდს, ის ემთხვევა კალანდარულ თუ სასწავლო წელს.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება (2023 წლის 31 მაისის N23) „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაში ცვლილების განხორციელების შესახებ. მე -5 მუხლში ,,სამუშაო ჯგუფის ფორმირება და შემადგენლობა, სამუშაო ჯგუფის წევრთა ვალდებულებები, დოკუმენტაციის გაზიარების მექანიზმები“ დაზუსტებულია სამუშოა ჯგუფის შემადგენლობა (ა) კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის წევრები ბ) პროფესიული განათლების მასწავლებლები; გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი; დ) სხვა, კოლეჯთან დაკავშირებული პირები (ე.წ. ცვალებადი წევრები). მეთოდოლოგიის მე-8 მუხლში დაკონკრეტებულია რომ სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის და ის ემთხვევა სასწავლო წელს.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;**

დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით პსდ-ს დირექტორის მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაში შედიან კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები. საწყის ეტაპზე დაწესებულება აკეთებს არსებული მდგომარეობის ანალიზსს. ხედვისა და მისიის განსაზღვრა, არსებული ვითარების ანალიზი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მომზადება, განხორციელება, გეგმის მონიტორინგი და შეფასება. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში დაწესებულება იყენებს SWOT ანალიზს, რაც გულისხმობს კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გაანალიზებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ისინი იცნობენ და იზიარებენ კოლეჯის სტრატეგიულ გეგმას.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 6 სექტემბრის N 58 დიბრძანებით, ხოლო უკანასკნელი ცვლილებები განხორციელებულია 2022 წლის 18 ნოემბერის N50 ბრძანებით. სტატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია 5 სტრაგეგიული მიზანი, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს ამოცანებს, განსახორციელებელ პერიოდს, შესრულების ინდიკაოტებს და პასუხისმგებელ პირებს. სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეობს 1 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის N64 ბრძანებით. მასში გაწერილია მიზნები, ამოცანები, აქტივობები, განხორციელების პერიოდი, შესრულების ინდიკატორი, ფინანსური და მატერიალური რესურსი, განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები.

წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია ,,დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის შედეგენისას წინასწარ განსაზღვროს საორიენტაციო ფინანსური რესურსი ან/და დაფინანსების წყარო, რომელიც აისახება დაწესებულების ბიუჯეტში“ დაწესებულების მიერ წარმოდგენილია კოლეჯის ბუღალტერის სამსახურებრივი ბარათი (01.09.2023) სადაც დაკონკრეტებულია 2023-2024 წლის სამოქმედო გეგით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. **კოლეჯის ვებგვერდი - https://medicalschool-3.edu.ge;**
2. **„შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „სტრატეგიული განვითარების (7 წლიანი) გეგმა;**
3. **2023-2024 წლის კოლეჯის სამოქმედო გეგმა;**
4. **„სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“;**
5. **სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განხორციელებული ცვლილებების დოკუმენტები;**
6. **კოლეჯის ბუღალტების სამსახურებრივი ბარათი;**
7. **კოლეჯის პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 02 ივლისის №21 ბრძანება სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 02 სექტემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებულია შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“, სადაც მოცემული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები. მონიტორინგის და შეფასების პროცესს კოლეჯი სამ ეტაპად ახორციელებს:

- ✓ მონაცემთა შეგროვება - მონაცემთა შეგროვების სტადიაზე, შემფასებელი/მონიტორინგის განმახორციელებელი პირი აგროვებს იმ დოკუმენტებს/ინფორმაციას, რომელიც მითითებულია გეგმაში კონკრეტული ამოცანის/აქტივობის შესრულების ინდიკატორის გრაფაში.
- ✓ შეგროვებული მონაცემების ანალიზი - ამ დროს ხდება პირველ ეტაპზე შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი შესრულების ინდიკატორთან მიმართებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

✓ მიღებულ შედეგებზე რეაგირების მოხდენა - რადგან მიზანი გეგმაში დასახული მიზნების მიღწევაა, პრობლემების გამოვლენისას აუცილებელი ხდება გეგმის ამოცანების, აქტივობების, შესრულების ვადების, რესურსების ან პასუხისმგებელი პირის გრაფაში ცვლილებების შეტანა.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესში პასუხისმგებელი პირი აგროვებს მონაცემებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით. შეფასების ეტაპზე პასუხისმგებელი პირი შეისწავლის შეგროვილ მონაცემებს, აანალიზებს და განსაზღვრავს შემდგომი რეაგირების საჭიროებებს. სტრატეგიული დოკუმენტის მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ის უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაციის შეჯამებას, გაანალიზებას და შესაბამისი ანგარიშის წარდგენას დირექტორის წინაშე. ამ მიზნით ხდება თითოეული პასუხისმგებელი პირის მიერ ანგარიშის და მტკიცებულებების წარდგენა შესრულებული სამუშაოების შესახებ. თითოეულ აქტივობას, შესრულების დონის მიხედვით, შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, ან „არ შესრულდა“. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი, მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს/სამუშაო ჯგუფს. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი არსებული ინფორმაციის საფუძველზე 3-4 წელიწადში ერთხელ დირექტორს წარუდგენს ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისა და წელიწადში ორჯერ (ექვს თვეში ერთხელ) შესაბამისი სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც.

დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედური ანგარიშის დოკუმენტი. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების, განხილვისა და შედეგების გათვალისწინების პრაქტიკა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულ იქნა კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურებისას.

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

პსდ სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს 3 წელიწადში ერთხელ. შესრულებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ექპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული და საქმედო გეგმების შესრულების შუალედური ანგარიშები, რომლებიც ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზეც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ანგარიშებში აღწერილია კონკრეტული ინდიკატორის შესრულებასთან დაკავშირებული შეფასება - შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, პროცესშია, ვერ შესრულდა. შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში განმარტებულია შეუსრულებლობის მიზეზი. ის აქტივობები, რომელთა შესრულება კოლეჯმა ვერ შეძლო საანგარიშო წელს, ასახულია მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში.
ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დაწესებულების საიტზე განთავსებული და საჯაროდ ხელმისაწვდომია კოლეჯის სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა და შესრულების ანგარიშები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის ვებგვერდი - https://medicalschool-3.edu.ge;
2. „შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „სტრატეგიული განვითარების (7 წლიანი) გეგმა;
3. 2023-2024 წლის კოლეჯის სამოქმედო გეგმა;
4. „სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
5. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განხორციელებული ცვლილებების დოკუმენტები;
6. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
7. კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 09 ივლისის №33 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში - „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მექანიზმები, ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების წესები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ტესტირების ორგანიზების საკითხები, კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შექმნისა და მუშაობის პრინციპები, განსაზღვრულია არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის არსებობისა და დადასტურების წესები (შესაბამისი დოკუმენტები), ამავე წესის 28-ე მუხლი არეგულირებს უცხოეთში/ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში - განათლების აღიარების დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულებას. ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით განსაზღვრულ დებულებებთან. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ ზემოაღნიშნული მექანიზმების გამოყენების პრაქტიკა, რის შედეგედაც დადგინდა შემდეგი გარემოებები: კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანება მიღების გამოცხადების შესახებ, პროფესიული სტუდენტები ჩარიცხული არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში, პროფესიულ სტუდენტთა შესახებ ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტის მონაცემები შეიტანება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის შემდგომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების“ გათვალისწინებით. ამასთან, დაცულია არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან სწავლის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკა.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ 30-ე მუხლი განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა უფლებებს, რის თანახმადაც პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს: მოსთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება, ისარგებლოს კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით, მიიღოს კოლეჯის ადმინისტრაციისგან ამომწურავი ინფორმაცია თავისი უფლებების, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი, მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, მიიღოს მონაწილეობა კოლეჯის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებაში, გაასაჩივროს დადგენილი წესით მიღებული შეფასება, შეფასების პროცედურის დარღვევა, მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება, საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით, სასამართლოში გაასაჩივროს საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება, განახორციელოს მისთვის პროფესიული განათლების შესახებ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ 32-ე მუხლი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს, განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შემთხვევები და პროცედურები და განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობის მექანიზმები. აღნიშნული პროცედურების პრაქტიკაში გამოყენების ფაქტების შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ფარმაცია“ პროფესიული სტუდენტის გარე მობილობის გზით ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და აღნიშნულის ფარგლებში შემუშავებული და პროფესიული სტუდენტის მიერ ხელმოწერილი (გაცნობილი) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ 37-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, რის შემდეგაც პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. აღნიშნული ჩანაწერი შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესით“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან და შესაბამისი მონაცემები ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ განმეორებითი შეფასების უფლებით, რაც დასტურდება შესაბამისი უწყისითა და შეფასების ინსტრუმენტით. პროფესიული სტუდენტებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ თავიანთ უფლება - მოვალეობებს და სარგებლობენ კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაციებით. **შესაბამისად 3.1.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის დაწყებამდე კოლეჯი აწყობს საორიენტაციო შეხვედრებს, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის, პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების, კოლეჯში არსებულ სტუდენტთა სერვისების, პროგრამის შინაარსის, პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის, პრაქტიკის ობიექტზე სწავლებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, კოლეჯის ვებგვერდზე გაზიარებული ინფორმაცია. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ინფორმაცია გადაამოწმა 2022 და 2023 წელს ტესტირების გზით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან და 2021 წლის კურსდამთავრებულებთან, მათ დაადასტურეს საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი. ინტერვიურებისას, პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ შეფასების სისტემის გასაჩივრების ფაქტს, თუმცა გასაჩივრების საჭიროება არ დამდგარა. კოლეჯში არსებობს ე.წ. „ანონიმური ყუთი“, თუმცა ამ ყუთით სარგებლობის არც ერთი ფაქტი არ დამდგარა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული შეთანხმების ფორმა, სადაც პროფესიული სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებს საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელ დებულების, შინაგანაწესს, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაის გაცნობის ფაქტს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ 35-ე მუხლი არეგულირებს „შეფასების პროცედურის დარღვევის და შედეგების გასაჩივრების წესებს“, რის მიხედვითაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურები, ვადები და პროცესში ჩართული მხარეების ინფორმირების მექანიზმები. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ინფორმაცია გადაამოწმა 2022 და 2023 წელს ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებთან და 2021 წლის კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც დაადასტურეს საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი. ინტერვიურებისას, პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ შეფასების სისტემის გასაჩივრების ფაქტს, თუმცა გასაჩივრების საჭიროება არ დამდგარა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, „ფარმაცია“ ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, მათ შორის სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და გარე მობილობის გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის დოკუმენტები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი წინააღმდეგობაში არ არის მოქმედ კანონმდებლობასა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით გასაზღვრულ დებულებებთან. ამასთან, დაცულია არასრულწლოვან პირებთან სწავლის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ 32-ე მუხლი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს, განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შემთხვევები და პროცედურები, მათ შორის კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება დგება მაშინ, როდესაც: ა) სსსმ და შშმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე და ვერ აღწევს/ვერ ადასტურებს სწავლის შედეგებს; ბ) მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან; გ) პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ორ კვირაზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; დ) პირი, რომელიც დაგვიანებით შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას; ე) პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისათვის მიღებული განათლების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელება შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე; სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებით პროფესიული განათლების მასწავლებელი მიმართავს ადმინისტრაციას და სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესის მართვის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ მასწავლებელთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს დასამტკიცებლად დაწესებულების დირექტორს. კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია საჭირო გახდეს დამხმარე ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სასწავლო რესურსების ადაპტირება. სასწავლო რესურსების ადაპტირებაში იგულისხმება ასევე, სასწავლო რესურსების შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტირება. მაგ: შედარებით მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტები ან შინაარსობრივად გამარტივებული ტექსტები, სპეციალურ პროგრამას კითხვისათვის უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობის მექანიზმები. აღნიშნული პროცედურების პრაქტიკაში გამოყენების ფაქტების შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც, დაწესებულებამ წარმოადგინა გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც პროფესიული სტუდენტის მიერ დასტურდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გაცნობისა და შეთანხმების ფაქტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 09 ივლისის №33 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“;
2. კოლეჯის დირექტორის ბრძანება მიღების გამოცხადებისა და დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ;
3. აქტიური სტატუსის მქონე, სტატუსშეჩერებულ, სტატუსშეწყვეტილ პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები;
4. მობილობით გადმოსული და პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
5. კოლეჯში დანერგილი ე.წ. „ანონიმური ყუთის“ მართვის მექანიზმები;
6. პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული შეთანხმებები და ხელშეკრულებები;
7. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

პროფესიული სტუდენტები კოლეჯის მხრიდან მხარდაჭერას იღებენ კონსულტირების მათ საჭიროებებზე მყისიერი რეაგირების გზით. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში და პროფესიულ სტუდენტებთან უწყვეტი კომუნიკაციის გზით უწევენ შესაბამის კონსულტირებას. კოლეჯის პრაქტიკის მენეჯერი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა განაწილებას პრაქტიკის ობიექტებზე და უზრუნველყოფს მათ ადაპტაციას ახალ გარემოში. პროფესიულ სტუდენტებს სწავლის შედეგების მიღწევების შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტირებას უწევს სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს კოლეჯის პერსონალის მხარდაჭერა და ხელშეწყობა. პროფესიული სტუდენტები და კოლეჯის წარმომადგენლები კომუნიკაციისთვის იყენებენ სოციალური ქსელის ჯგუფებს, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადასტურებულია. კოლეჯის პერსონალმა აღნიშნა, რომ ისინი ყოველთვის გამოხატავენ მზაობას დაეხმარონ პროფესიულ სტუდენტებს. კოლეჯში მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, სადაც უფლებამოსილნი არიან დააფიქსირონ საკუთარი აზრი. ინტერვიუირებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ადმინისტრაციულ საჭირობებზე უმეტესწილად მიმართავენ სასწავლო პროცესის ან ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

2. **პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

კოლეჯში სასწავლო პროცესის დაწყებისას, კოლეჯის ადმინისტრაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროცესიული განათლების მასწავლებლები ხვდებიან ახლად ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს და აცნობენ მათ კოლეჯის შიდა მარეგულირებელ აქტებს, ქცევის ნორმებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თავისებურებებს, კოლეჯის მისიას, ხედვას და სხვ. პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა განაწილებისას, მათ უტარდებათ ინსტრუქტაჟი, განემარტებათ პრაქტიკის ობიექტზე ქცევისა და უსაფრთხოების წესები და სხვ. ზემოაღნიშნულის დასტურად, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია შესაბამისი აქტივობების ჩატარების დამადასტურებელი ნიუსები და ფოტომასალა, რომელიც განთავსებული იყო კოლეჯის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია პროფესიული სტუდენტების მიერ ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

3. **პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;**

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 19 მარტის N16 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ინსტრუქციის“ მიხედვით, დაწესებულებაში მიღებულ განცხადება/წერილზე პასუხი გაიცემა 5 დღის ვადაში ბეჭდური ფორმით ან/და ელექტრონულად. კოლეჯის მიერ დოკუმენტების/კორესპოდენციაზე პასუხების გაცემის პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაურა კოლეჯის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს და შერჩევითი წესით გადამოწმდა კორესპონდენტიციის ორგანიზების პრაქტიკა. შესწავლით დადგინდა, რომ დაწესებულება არ არღვევს დოკუმენტების გაცემის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკის თანახმად, ცნობები გაცემულია მოთხოვნიდან ერთი დღის ვადაში. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებისას მათ განაცხადეს, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის ან სხვა სახის ადმინისტრაციული მხარდაჭერისთვის არასდროს გამოუყენებიათ საქმისწარმოების წესით დადგენილი ვადები და მყისიერად რეაგირებენ პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე. აღნიშნული ფაქტი ასევე დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურების დროს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4. **პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;**

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის მე-11 მუხლის თანახმად, „მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების ხელშეწყობა“ კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მოტივაციის ამაღლების მექანიზმები, რაც თავის მხრივ მოიცავს მათი წახალისებისკენ მიმართულ აქტივობებს: 1. ორგანიზებულ კონფერენციებში/განათლების ასამაღლებელ შეხვედრებში პროფესიული მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების აქტიური წახალისებას. 2. წამახალისებელი გარემოს შექმნის მიზნით, პროფესიული მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ შექმნილი ნამუშევრების კოლეჯის ვებ-გვერდზე, სოციალური ქსელების გვერდებზე გაზიარებასა და კოლეჯის სივრცეში განთავსებას. კოლეჯში დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერის პროცედურული მექანიზმები დაცულია. კოლეჯში არსებული პრაქტიკის შესწავლისას პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯი ხელს უწყობს მათ ინიციატივებსა და სურვილებს და შეძლებისდაგვარად რეაგირებს საჭიროებებზე. მაგალითის სახით წარმოდგენილ იქნა პროფესიული სტუდენტების მიერ კოლექტიური განცხადება ტელეკომპანია, „რუსთავი 2“-ში გადაცემა „ექიმებზე“ დასწრების თაობაზე, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისა და კოლეჯის პოპულარაზიციის მიზნით. აღნიშნული ინიციატივა დაკმაყოფილებულ იქნა კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, **თუმცა დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს დამატებითი არაფორმალური აქტივობების შეთავაზება პროფესიული სტუდენტებისათვის, სისტემური შეხვედრების ორგანიზება ფარმაცევტულ კომპანიებთან, ცხოვრების ჯანსაღის წესის პროპაგანდა, შემეცნებითი ღონისძიებების მხარდაჭერა, დასაქმების ფორუმებში აქტიური მონაწილეობა და ა.შ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის №15 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით, კვლევის ჩასატარებლად კოლეჯი იყენებს ელექტრონული გამოკითხვის მეთოდს. კვლევის ინსტრუმენტად კი - ელექტრონულ პორტალს Google Forms. გამოკითხვის ჩასატარებლად კოლეჯს შემუშავებული აქვს კითხვარები, რომელიც მოიცავს როგორც ღია, ასევე დახურულ კითხვებს. გამოკითხვის უპირველესი მიზანია ადრესატთა კმაყოფილების დადგენა, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა შემდგომი რეაგირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. დაწესებულების საქმიანობის ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენება ხარისხის შემოწმების შემდეგი კითხვარების ფორმები: პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი; ადმინისტრაციის კითხვარი; კურსდამთავრებულთა კითხვარი; პარტნიორი კომპანიის კითხვარი. პროფესიული სტუდენტის გამოკითხვა, გარდა მე-2 სტანდარტთან მიმართებისა, ტარდება სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ მაინც, მე-2 სტანდარტთან (პროფესიულ პროგრამებთან) მიმართებით კითხვარი ივსება ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ, გონივრულ ვადაში. პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევის კითხვარის მიხედვით კლვევის ასპექტებია: პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის არჩევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების გარემოება, კოლეჯის მისიის შესახებ ინფორმაციის ფლობა, დაწესებულების მიერ მისიით გაცხადებული მიმართულებების შესრულება, კოლეჯის მისიით დეკლარირებული მიზნების, დაწესებულების ხედვისა და ღირებულებების შესახებ ინფორმაციის ფლობა, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების გზების ეფექტიანობა, დაწესებულების მისიის/ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში, სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მონაწილეობისა და მონაწილეობის გზების შესახებ, კოლეჯის სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების ინფორმაციის ფლობა და და სხვა. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია 2022-2023 სასწავლო წელს პროფესიულ სტუდენტთა მიერ შევსებული ზემოაღნიშნული კითხვარი, ასევე წარმოდგენილია კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ანგარიში, რომლის თანახმადაც, კვლევის საგანსა და მიზანს წარმოადგენს კურსდამთავრებულთა მიღებული განათლებით, კვალიფიკაციითა და მიღებული ცოდნით დასაქმების კმაყოფილების კვლევა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებისა და ახალი სამოქმედო გეგმის შექმნის მიზნით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი განმარტავს, რომ დასკვნის პროექტში ნახსენები წლები 2021-2022 წლის ჩატარებულ კვლევასთან დაკავშირებით, წარმოადგენს ტექნიკურ უზუსტობას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის შინაარსობრივ აღწერას არ უკავშირდება. ამასთან, 3.2.2. კომპონენტთან მიმართებით, ყველა ინდიკატორის აღწერაში მითითებულია კოლეჯის მიერ ჩატარებული 2022-2023 წლის კვლევის მონაცემები, შესაბამისი დასაბუთებით.ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციის ღონისძიებების განხორციელების თაობაზე;
2. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 19 მარტის N16 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ინსტრუქცია“;
3. შემოსული და გასული კორესპოდენცია და მათი რეგისტრაციის ჟურნალები;
4. საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში (eflow) რეგისტრირებული კორესპოდენცია;
5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და
6. კომუნიკაციის წესი“;
7. კოლეჯის მიერ სტუდენტთა კონფერენციის ჩატარებისა და დასაქმების ფორუმებში მონაწილეობის მტკიცებულებები;
8. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის №15 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია“;
9. პროფესიულ სტუდენტთა მიერ კმაყოფილების კვლევის კითხვარები, შევსებული კითხვარები, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ანგარიში;
10. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;**

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის მე-11 მუხლის, „მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების ხელშეწყობა“ თანახმად, კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კარიერული განვითარების შესაძლებლობების გაფართოვებას, აწვდის ინფორმაციას ტრენინგების, გამოფენების, პრეზენტაციების, დასაქმების ფორუმებისა და სხვა ღონისძიებების შესახებ, ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების, მასალების, მიდგომების გაცნობას. დაწესებულებაში დასაქმებულია პრაქტიკის მენეჯერი, რომელიც პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას კონკრეტული ვაკანსიებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. მსგავსი ინფორმაცია კოლეჯის სტუდენტებს აგრეთვე მიეწოდებათ პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და კოლეჯის სხვა პერსონალის მიერ, რაც დადასტურებულ იქნა პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას. კოლეჯი აწარმოებს კურდამთავრებულთა დასაქმების კვლევას და კვლევის შედეგების მიხედვით დასაქმებულთა რიცხვი მაღალია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.

2. **პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“, რომლის მე-11 მუხლის, „მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების ხელშეწყობა“ თანახმად, კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კარიერული განვითარების შესაძლებლობების გაფართოვებას, აწვდის ინფორმაციას ტრენინგების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოფენების, პრეზენტაციების, დასაქმების ფორუმებისა და სხვა ღონისძიებების შესახებ, ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების, მასალების, მიდგომების გაცნობას. დაწესებულებაში დასაქმებულია პრაქტიკის მენეჯერი, რომელიც პროფესიულ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას კონკრეტული ვაკანსიებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. მსგავსი ინფორმაცია კოლეჯის სტუდენტებს აგრეთვე მიეწოდებათ პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და კოლეჯის სხვა პერსონალის მიერ, რაც დადასტურებულ იქნა პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3.პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის №15 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით, კვლევის ჩასატარებლად კოლეჯი იყენებს ელექტრონული გამოკითხვის მეთოდს. კვლევის ინსტრუმენტად კი - ელექტრონულ პორტალს Google Forms. გამოკითხვის ჩასატარებლად კოლეჯს შემუშავებული აქვს კითხვარები, რომელიც მოიცავს როგორც ღია, ასევე დახურულ კითხვებს. გამოკითხვის უპირველესი მიზანია ადრესატთა კმაყოფილების დადგენა, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა შემდგომი რეაგირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. დაწესებულების საქმიანობის ხარისხის შეფასების მიზნით გამოიყენება ხარისხის შემოწმების შემდეგი კითხვარების ფორმები: პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი; ადმინისტრაციის კითხვარი; კურსდამთავრებულთა კითხვარი; პარტნიორი კომპანიის კითხვარი. პროფესიული სტუდენტის გამოკითხვა, გარდა მე-2 სტანდარტთან მიმართებისა, ტარდება სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ მაინც, მე-2 სტანდარტთან (პროფესიულ პროგრამებთან) მიმართებით კითხვარი ივსება ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ, გონივრულ ვადაში. ამასთან, კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 4 ივნისის №31 ბრძანებით დამტკიცებულია „კურსდამთავრებულთა კითხვარი“, სადაც განსაზღვრულია კვლევის შემდეგი ასპექტები: პროგრამის დასახელება, დასაქმების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პროფესიით დასაქმების შესახებ. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია 2022-2023 წლის გამოკითხვის შედეგები. სულ გამოიკითხა 21 პირი, რის მიხედვითაც გამოკითხულთა 77,8% დასაქმებულია. კურსდამთავრებულთა უკუკავშირი დადებითია. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა 1 კურსდამთავრებულს, ვინაიდან ადმინისტრაციის წარმომადგენლების გადმოცემით ყველა დასაქმებულია ფარმაციის მიმართულებით და ცვლაში მორიგეობის გამო, ვერ შეძლეს გააუბრებაზე მობრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიურებისას კურსდამთავრებულმა დაადასტურა კოლეჯის მხარდაჭერა სწავლისა და დასაქმების მიმართულებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯს დარეგულირებული აქვს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით კვლევის პროცედურა.

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 4 ივნისის №31 ბრძანებით დამტკიცებულია „კურსდამთავრებულთა კითხვარი“, სადაც განსაზღვრულია კვლევის შემდეგი ასპექტები: პროგრამის დასახელება, დასაქმების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პროფესიით დასაქმების შესახებ ინფორმაცია, კვალიფიკაციის მინიჭებიდან რა ვადაში მოხდა დასაქმება, ინფორმაცია კოლეჯში მიღებული ცოდნა-უნარებისა და დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს შორის შეუსაბამობა, დამატებითი ინფორმაცია. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია 2022-2023 წლის გამოკითხვის შედეგები. სულ გამოიკითხა 21 პირი, რის მიხედვითაც გამოკითხულთა 77,8% დასაქმებულია. კურსდამთავრებულთა უკუკავშირი დადებითია. დაწესებულების მიერ გასაუმჯობესებელი საკითხები არ გამოვლენილა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.4 დაკმაყოფილებულია, კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“,
2. კოლეჯის კურდამთავრებულთა დასაქმების კვლევის შედეგები;
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივნისის №15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია“;
4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 4 ივნისის №31 ბრძანებით დამტკიცებული „კურსდამთავრებულთა კითხვარი“;
5. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება :

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების სტრუქტურული/საშტატო ერთეულებია: დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ბუღალტერი; IT მენეჯერი; ბიბლიოთეკარი; ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი; სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი; პრაქტიკის მენეჯერი; ოფისის მენეჯერი; შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი; პროგრამის ხელმძღვანელი; ექთანი; დამლაგებელი; კომენდანტი და პროფესიული განათლების მასწავლებლები. კოლეჯის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირია დირექტორი, რომელსაც ექვემდებარება დირექტორის მოადგილე და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის სტრუქტურა, რომლის თანახმადაც კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს ექვემდებარება ოფისის მენეჯერი, პროგრამის ხელმძღვანელი, პრაქტიკის მენეჯერი და პროფესიული განათლების მასწავლებლები. კოლეჯის დირექტორის მოადგილეს ექვემდებარება ბუღალტერი; IT მენეჯერი; ბიბლიოთეკარი; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი; ექთანი; დამლაგებელი; კომენდანტი. ამასთან, კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის № 9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწეებულების მარეგულირებელი დებულებით“ განსაზღვრული სტრუქტრული და საშტატო ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ანგარიშვალდებულების სისტემის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის წინარე ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. დაცულია დაწესებულებაში არსებული იერარქიული ბალანსი, შესაბამისობაშია თანამდებობრივი დაქვემდებარებისა და ფუნქციების განაწილების სისტემა, ანგარიშვალდებულებებისა და ანგარიშგების საკითხები. არ იკვეთება დუბლირებული ფუნქციები და ფუნქცია-მოვალეობების არასწორი გადანაწილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“ განსაზღვრული სტრუქტურული და საშტატო ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და ანგარშვალდებულების სისტემის მიხედვით, ხარისხის მართვის მენეჯერი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის წინაშე, პასუხისმგებელია კოლეჯში სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხზე და საგანმანათლებლო საქმიანობის მუდმივ დინამიურ განვითარებაზე; ახორციელებს კოლეჯის სტრატეგიული განვითარების დინამიკის შეფასებასა და მონიტორინგს, დაწესებულების ფუნქიონირების ხარისხის სისტემატურ შეფასებასა და ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე კოლეჯის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან აქტიური კოორდინაციის მეშვეობით; შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებს, წინადადებებსა და რეკომენდაციებს კოლეჯის სტრატეგიული განვითარების შესახებ და წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად. .ეცნობა ადმინისტრაციის თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილ მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ანგარიშებს, დირექტორის მიერ განსაზღვრულ ვადაში ამზადებს ანგარიშების ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესადგენად; პერიოდულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების, მოდულისათვის სტანდარტებით წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესებისათვის; შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად რეკომენდაციებსა და შესაბამის სამოქმედო გეგმას საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით; კოორდინაციას უწევს/მონაწილეობს სხვადახვა კვლევებში. რაც შეეხება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს, კოორდინაციას უწევს კოლეჯში სასწავლო პროცესს და პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ეფექტურად ორგანიზებასა და მართვაზე. კოორდინირებას უწევს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების/განხორციელების პროცესს, დირექტორის სახელზე წარადგენს მოხსენებით ბარათს, პროფესიული პროგრამ(ებ)ის შემუშავების/დანერგვის საჭიროების/დამტკიცების შესახებ; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დაგეგმვისთვის, ამზადებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის ანალიზს (საჭიროების შემთხვევაში სხვა თანამშრომლებთან ერთად); ხელს უწყობს სასწავლო პროცესში ხარისხის შემოწმების გამჭვირვალე მექანიზმების დანერგვას; ახორციელებს კონკრეტულ მოსამზადებელ ღონისძიებებს ახალი სასწავლო წლისათვის; აღრიცხავს პროფესიულ განათლების მასწავლებელთა მიერ ჩატარებული საათების რაოდენობას, რომელსაც ყოველი თვის ბოლო კვირას გადასცემს ბუღალტერს; უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობას კოლეჯის ყოველდღიურ ცხოვრებაში; ინახავს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებს; უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასების ფორმების, სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასებისათვის საჭირო დოკუმენტების (კითხვარების, დანართების და სხვ.) ამზადებს კითხვარებს და კვლევებს საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის ანალიზისათვის; ჩართულია კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების/მოდულების სტანდარტებით წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში; მონაწილეობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ავტორიზაციისა და თვითშეფასების პროცესის განხორციელებაში და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებაში; მონაწილეობს პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად შეფასების ინსტრუმენტების და კალენდარული გეგმების შემუშავებაში; უწევს პროფესიულ სტუდენტებს; მიმართავს დირექტორს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოცდის დანიშვნის თაობაზე, მათი ჩატარების თარიღის შესახებ ახდენს სტუდენტთა ინფორმირებას; უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სოციალიზაციის მიზნით განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა საჭიროებების განსაზღვრა-მომსახურებას; აწყობს შეხვედრებს/პრეზენტაციებს საშუალო სკოლებში, დაინტერესებულ მხარეებს აცნობს პროფესიულ სასწავლებლებს; აწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემთა ბაზას; საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ პირებს ეხმარება პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაციაში; უწევს მათ შესაბამის კონსულტაციას და ა.შ. აქედან გამომდინარე, წინარე ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები პოზიციათა დუბლირებიდან გამომდინარე აღმოფხვრილია. კოლეჯის სტრუქტურიდან გამომდინარე ხარისხის მართვის მენეჯერის დაქვემდებარებაში არცერთი თანამშრომელი არ არის წარმოდგენილი, ხოლო დირექტორის მოადგილის, ხარისხის უზრუნველყოფის და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების ფუნციებში გაწერილი დუბლირებული ფუქნცია - მოვალეობები კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით ამოღებულია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

წინა ინდიკატორის გათვალისწინებით, კოლეჯის სტრუქტურიდან გამომდინარე ხარისხის მართვის მენეჯერის დაქვემდებარებაში არცერთი თანამშრომელი არ არის წარმოდგენილი, ხოლო დირექტორის მოადგილის, ხარისხის უზრუნველყოფის და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერების ფუნქციებში გაწერილი დუბლირებული ფუქნცია - მოვალეობები, კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით ამოღებულია. ამასთან გამიჯნულია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ჩართულობა სამართლებრივ საქმისწარმოებასა და პერსონალის შერჩევის პროცედურებთან. რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა საკვალიფიკაციო კომისიაში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მონაწილების საკითხს, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის შესწავლის მიზნით, კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მოხსენებით, 2022 და 2023 წლის მიღების ფარგლებში სწავლა მიმდინარეობს და შესაბამისად, შეუძლებელი იქნებოდა გათვალისწინებული რეკომენდაციის გადამოწმება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის სტრუქტურა;

2. დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის № 9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“;

3. კოლეჯის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;

4. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.**

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 19 თებერვლის №7 ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის შინაგანაწესი“, რომელიც არეგულირებს თანამშრომელების უფლება-მოვალეობებს, სამსახურებრივი ქცევის სტანდარტებს, სამსახურში მიღებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების წესებს, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადენილ მოთხოვნებთან. შრომის შინაგანაწესი გაცნობილია კოლეჯის ყველა თანამშრომლის მიერ და გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე/განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე. დაწესებულებას 2023 წლის 4 ნომებრის №66 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, სადაც გაწერილია დასაქმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მსურველთა შერჩევისა და სამსახურში აყვანის წესი, სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი, შრომითი ურთიერთობების შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები, დასაქმებულის უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები. შინაგანაწესი მოიცავს დასაქმებულის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის, წახალისებისა და დაწინაურების წესს. დოკუმენტში მოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის წარმოშობის, გაქარწყლებისა და ვადაზე ადრე მოხსნის საკითხები. შინაგანაწესით დარეგულირებულია დასაქმებულისთვის შვებულების, მივლინების და ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისა მექანიზმები და შრომითი ხელშეკრულებით დაცულია შრომის არსებითი პირობები. დოკუმენტაციის შესწავლის და ინტერვიუირების შედეგად ირკვევა, რომ კოლეჯში დასაქმებული პირები იცნობენ შინაგანაწესს და იღებენ ინფორმაციას მასში შეტანილი ცვლილებების შესახებ. ასევე, დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია და კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრა ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვის ლიმიტირებული ოდენობა მოდულების განხორციელების ფარგლებში.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 19 თებერვლის №7 ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის შინაგანაწესი“, რომლის მესამე მუხლი არეგულირებს სამსახურში მიღების წესს, რის მიხედვითაც ვაკანტურ პოზიციაზე თანამშრომელი მიიღება ღია კონკურსის საფუძველზე ან კონკურს გარეშე. მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა შესაბამისობის გეგმის შესრულება. დაწესებულებამ წარმოადგინა „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, სადაც დეტალურად არის გაწერილი პერსონალის შერჩევის მექანიზმები და პროცედურები, კონკურსის ჩატარების დეტალები და პერსონალის დანიშვნის წესი, პერსონალის ინტეგრაციის პროცესი ახალ სამუშაო გარემოსთან, აღწერილია პერსონალის ჩართულობა და მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობებში. ამასთან, დოკუმენტი მოიცავს ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების საკითხებს და განსაზღვრულია პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები. პერსონალის სამსახურში აყვანა გათვალისწინებულია, როგორც კონკურსით (ღია, დახურული), ასევე კონკურსის გარეშე. შინაგანაწესსა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების მტკიცებულებების შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად, დაწესებულების მიერ დასაქმების პორტალზე გამოქვეყნებული ვაკანსიები. ასევე, საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილი განაცხადების განხილვისა და შერჩევის საკონკურსო ოქმები. ექსპერტთა ჯგუფმაა პრაქტიკის შესწავლის მიზნით დაადგინა, რომ თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და დაცულია შრომის არსებითი პირობები. „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით“ გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია დაკავებულ თანამდებობებთან და პირადი საქმის წარმოების წესით დადასტურებულია ყველა დოკუმენტის არსებობა.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წინა წარმოების ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, რადგან პერსონალის გარკვეული ნაწილის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას, პერსონალის ნაწილის სამუშაო გამოცდილება არ იყო შესაბამისობაში დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ხოლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფკაციო მოთხოვნებთან პერონალის ნაწილის სამუშაო გამოცდილების შესაბამისობა არ იყო დადასტურებული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტებით.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეამოწმა, როგორც ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები და დაადგინა, რომ დასაქმებულთა კვალიფიკაცია აკმაყოფილებს სამუშაო აღწერილობების დოკუმენტით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კოლეჯში ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაზეც მოწმობს შემდეგი გარემოებები - კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფები, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისათვის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი და სხვ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული კოლეჯის სტრუქტურა;
2. დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის № 9 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწეებულების მარეგულირებელი დებულება“;
3. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 19 თებერვლის №7 ბრძანებით დამტკიცებული „შრომის შინაგანაწესი“;
4. კოლეჯის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;
5. კოლეჯის პერსონალის პირადი საქმეები;
6. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
7. პერსონალის შერჩევის კომისიის სხდომის ოქმები;
8. „პერსონალის მართვის პოლიტიკა (2023 წლის 4 ნომებრის №66 ბრძანება)

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;**

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 28 სექტემბრის №35 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალის შეფასების წესი, რომელიც გულისხმობს ე.წ. „360 გრადუსიანი“ შეფასების სისტემის გამოყენებას და მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს: პოზიციის შესაბამისი კომპეტენცია; შესრულებული სამუშაოს ხარისხი; შემოქმედებითი/კრეატიული მიდგომა; დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი; ერთდროულად სხვადასხვა საქმის შესრულების უნარი; დეტალებზე ორიენტირებულობა; სამუშაოს დროულად შესრულება; დაკისრებული სამუშაოს მოცულობისათვის დამოუკიდებლად თავის გართმევის უნარი; კომუნიკაციის უნარი; გუნდური მუშაობის უნარი; სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი; საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი; პუნქტუალობა და დროის ეფექტური მართვის უნარი; ცვლილების სწრაფად აღქმის უნარი. დაწესებულებამ წარმოადგინა პესონალის შეფასების შედეგები, სადაც უშუალო უფროსი 5 ბალიანი შკალით აფასებს თავის დაქვემდებარებულ პირს. ექსპერტთა ვიზიტის დროს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მენეჯერმა წარმოადგინა სამსახურებრივი ბარათი და ჩატარებული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კვლევის თანახმად გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციული პერსონალი არ საჭიროებს დამატებით გადამზადებას და გაძლიერებას პროფესიულ უნარ-ჩვევების ნაწილში, შეფასებულნი არიან უმაღლესი ქულით და უზრუნველყოფილი არიან სამუშაოს შესრულებისათვის ყველა საჭირო რესურსით. კვლევით დგინდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ მხარდამჭერ აქტივობებსა და ტრენინგების გავლას სიახლეების გაცნობისა და ადაპტირების მიზნით, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშემწყობი აქტივობების შეთავაზებას შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე. 2022-2023 წლის საჭიროების კვლევის საფუძველზე დაწესებულებამ უზრუნველყო დარგის სპეციალისტის მოწვევა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში და ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგში: „სწავლა - სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“ მონაწილეობის მიღება. ***მიუხედავად კვლევის შედეგად დაფიქსირებული დადებითი დინამიკისა, ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციაა დაწესებულებამ უზრუნველყოს კვლევის კითხვარების გადამუშავება სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით და შესაბამისი მხარდამჭერი აქტივობების ორგანიზება ადმინისტრაციული პერსონალისთვის, საქმისწარმოების, ადამიანური რესურსების მართვის, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრირების მიზნით.***

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

დაწესებულების წლიური სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრული აქვს პერსონალის საჭიროებათა კვლევა და მიღებული შედეგების მიხედვით პერსონალის განვითარების ღონისძიებების განხორციელება. 2022-2023 წლის საჭიროების კვლევის საფუძველზე დაწესებულებამ უზრუნველყო დარგის სპეციალისტის მოწვევა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში და ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგში: „სწავლა - სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“ მონაწილეობის მიღება, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში, უზრუნველყო ბუღალტრის დასწრება საგადასახადო სისტემის სიახლეების გაცნობის ტრენინგზე.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები არიან როგორც დაწესებულების, ასევე ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, რაც დასტურდება პერსონალთა წარმოდგენილი პირადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმეებით. დაწესებულების წარმომადგენლების ინტერვიურებით, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, *თუმცა ექსპერტთა მხრიდან გაცემულია განვითარების რეკომენდაცია დაწესებულებამ სისტემურად განახორციელოს პერსონალის განვითარების ღონისძიებები, მათ შორის მიზნობრივი გამოკითხვის ან ინტერვიურების გზით გამოკვეთოს საჭიროებები, პერსონალის შეფასების ჯვარედინი მეთოდის გამოყენებით განსაზღვროს გასაუმჯობესებელი მხარეები, ხოლო სისტემაში არსებული სიახლეების, ტენდენციებისა და განვითარების მიმართულების მიხედვით ორგანიზებულად დაგეგმოს და განახორციელოს პერსონალის უწყვეტი განვითარების აქტივობები, პერიოდულად მიიღოს პერსონალის უკუკავშირი ჩატარებული ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების და სხვა სახის ღონისძიებების შედეგების თაობაზე და დაკვირდეს პროცესების გაუმჯობესების მიმდინარეობას.*

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, სადაც მე-4 მუხლად განსაზღვრულია ახალი პერსონალის ადაპტაციის პროცედურები. კონკრეტულად კი, შინაარსობრივი და ტექნიკური ადაპტაციის პროცედურა. კოლეჯში კონკურსის წესით შეირჩა ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთანაც ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება. დასაქმებულმა დეტალურად აღწერა კონკურსისა და მისი შერჩევის პროცედურები, ისაუბრა კოლეჯში მისი მხარდაჭერის აქტივობებზე და გამოხატა კმაყოფილება დაწესებულების პერსონალის მიმართ.

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, სადაც მე-9 მუხლში გაწერილია პერსონალის შენარჩუნება და წახალისება. კოლეჯში დასაქმებულთა წახალისება ხდება შეფასების შედეგების, თანამშრომლის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის. კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების სახეები, რომლის ერთ-ერთ ფორმად შესაძლოა გამოყენებულ იქნას წარმატებული პერსონალის შესახებ ინფორმაციის განთავსება კოლეჯის ვებ-გვერდზე. პერსონალის წახალისების ფორმას განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით, რომლის გაცნობას უზრუნველყოფს საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, ბრძანების გამოცემიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში პირადად/სატელეფონო შეტყობინებით, სოციალური ქსელის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. აღნიშნული მექანიზმის შესწავლის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის კერძო კოლეჯების ასოციაციის წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე (როგორც 2023 წლის საუკეთესო თანამშრომელი) წარდგინების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ექსპერტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. „პერსონალის შეფასების წესი“; 2
2. კოლეჯის პერსონალის შეფასების მტკიცებულებები;
3. პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
4. კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
5. კოლეჯის პერსონალის განვითარების მტკიცებულებები;
6. „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;
7. დამტკიცებულია „შრომის შინაგანაწესი“;
8. კოლეჯის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები;
9. პერსონალის მართვის პოლიტიკა;

- *კოლეჯის პერსონალის პირადი საქმეები;*
- *კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;**

შპს ,,კოლეჯი მესამე სამედიცინო“ მდებარეობს ქალაქ თბილისში შემდეგ მისამართზე აკაკი წერეთლის გამზირი N142.

წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის მიხედვით, დაწესებულების საერთო შიდა ფართი შეადგენს 447,36 მ 2-ს.

სივრცეების განაწილება შემდეგია:

- ადმინისტრაცული პერსონალის სივრცე (2 სამუშაო სივრცე);
- პროფესიული განათლების მასწავლებეთა სამუშაო სივრცე (1);
- A გარემო თეორიული სწავლებისათვის (7 სასწავლო აუდიტორია);
- B გარემო ინფორმაციული წიგნიერების ზოგადი მოდულისთვის (1);
- დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის;
- C გარემო დარგობრივი მოდულების განხორციელებისათვის (2 სუმუაციური გარემო)
- სანიტარული კვანძები;
- ბიბლიოთეკა
- არქივი

პსდ-ში სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესყიდვის აქტები, ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები, უძრავი და მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რის მიხედვითაც განსაზღვრულია კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის პროცედურა და რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების მექანიზმები. კოლეჯის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, შენახვას, განვითარებას გამოყენების პროცესის მართვას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის მოადგილე. კოლეჯის მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად, საამისოდ გამოყოფილი, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის რეგულარულ შეფასებას ახორციელებს დირექტორის მოადგილე შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვისა კოლეჯში მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსის შეფასება და განვითარების მიზნით შესაბამისი გეგმის შემუშავება. განვითარების გეგმის შემუშავებაში ჩართულია შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, ბუღალტერი, დირექტორის მოადგილე და სხვა დაკავშირებული პირები. შეფასებისა და განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

წინა წარემობის დროს ექსპერტთა მიერ 5.1.1.1 ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,მეწილად შესაბამისი" ვინაიდან დაწესებულების მიერ ფართით სარგებლობა არ არის უზრუნველყოფილი მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, მიმდინარე წარმოების ფაეგლებში დაწესებულებამ წამოადგინა ფართის ქირავნობის განახლებული ხელშერულება (11.04.2023), სადაც სარგებლობის ვადად განსაზღვრულია 2029 წლის 10 აპრილი და შესაბამისად დაწესებულება უფლებამოსილია განკარგოს აღნიშნული ფართი ავტორიზაციის ვადით. წინა წარმოების ფარგლებში ექსპერთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო განვითარების რეკომენდაცია, დაწესებულებას სათანადოდ უნდა უზრუნველყო დაწესებულების დოკუმენტაციის დაცულობა არასანქცირებული წვდომისგან.

მიმდინარე ვიზიტის დრო ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერდა დაწესებულებაში არსებული გარემოები. აღსანიშნავია, რომ არქივის სივრცე დაცულია საკეტით და მასზე წვდიომა აქვს მხოლოდ პასუხისმგებელ პირს. (საქმისმწაროებელი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;**

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი", რის მიხედვითაც განსაზღვრულია კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის პროცედურა, მათ შორის გაწერილია ინვენტარისა და აღჭურვილობის საჭიროების იდენტიფიცირების მიდგომები და პროცესზე პასუხისმგებელი საშტატო ერთეულები, დარეგულირებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის საკითხები. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მიერ წარმოდგენილ კვლევის ანალიზში ფიქსირდება პროფესიული სტუდენტების კმაყოფილება მატერიულური რესურსებით.

ვიზიტისას, ექსპერტთა ჯუფი გაესაუბრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიულ სტუდენტებს. გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა და სხვა სასწავლო რესურსები მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

ექსპერტთა შეფასების ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია .

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“, რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულების ტერიტორიაზე, შიდა და გარე სივრცეების დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი ფუნქცია-მოვალეობები. კოლეჯში სისუფთავის და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების პირობების დაცვაზე პასუხისმგებელი პირია დამლაგებელი. რომელიც ზრუნავს შენობის სისუფთავეზე. დალაგება ხდება სველი წესით წინასწარ განსაზღვრული განრიგის მიხედვით. ექსპერტთა მიერ ადგილზე გადამოწმდა სველი წერტილების, დერეფნის, სხვადასხვა სივრცეების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. კოლეჯის შენობაში არის სისუფთავე და წესრიგი, რაც დადასტურდა ვიზუალური დათვალიერებითაც.

ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;

კოლეჯსა და შპს „მასტერ სერვის გრუპს“ შორის 2022 წლის 18 ნოემბერს გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ადასტრებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების (ცენტრაული გათბობის სისტემის მოწყობა)შესრულებას.

ცენტრალური გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირების დასტურად წარმოდგენილია კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. კოლეჯში გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირება აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებით.

ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის №87 ბრძანებით დამტკიცებულია „შრომის უსაფრთხოების მექანიზმები“, რომელიც არეგულირების კოლეჯის პერსონალის, სტუდენტებისა და ვიზიტორების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს, თითოეული მხარის პასუხისმგებლობას, მოვალეობებს, რისკების შეფასებისა და პროცესების მართვის მიდგომებს. შრომის უსაფრთხოების მიმართულებით, კოლეჯი იღებს ვალდებულებას დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები

კოლეჯში შრომის უსაფრთოხების სპეციალისტის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე, რომელიც სერთიფიცირებულია და უფლებამოსილია დაწესებულებაში განახორციელოს შრომის უსაფრთოხების პოლიტიკა.ვიზიტის დროს, შრომის მან წარმოადგინა ჩატარებული ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალი, სადაც კოლეჯის პროფესიული სტუდენტები, ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები ხემოწერით ადასტურებენ ზემოაღნიშნულ შეხვედრებზე დასწრებას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

6. **დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“, რომელიც ადგენს პროგრამის განხორციელებისათვის, სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფისა და მათ შენახვა-გამოყენების წესებს. კოლეჯში სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის შესყიდვაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორის მოადგილე, რომელიც დირექტორთან შეთანხმებით და ბუღალტერთან კოორდინაციით უზრუნველყოფს აღნიშნული პროცედურის განხორციელებას. მოდულის ფარგლებში პროფესიული მასწავლებლისათვის გადაცემული მასალა-ნედლეული აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში. პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი კომპონენტის დასრულების შემდეგ ხდება გახარჯული მასალის ანგარიშგება, რასაც ადასტურებს კოლეჯის ბუღალტერის მიერ ექსპერტებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტები, კერძოდ, მასალა-ნედლეულის შესყიდვის ზედნადებები და გახარჯული მასალის აღრიცხვის ჟურნალი. კოლეჯის მიერ დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების/პროდუქტების შენახვისა და განკარგვის წესები. კოლეჯის მიერ დადგენილია სასწავლო პროცესში წარმოშობილი ნარჩენების, მათ შორის ტექნოლოგიური ნარჩენების, მალფუჭებადი პროდუქტის განკარგვისა და უტილიზაციის წესები. სასწავლო პროცესის მსვლელობისას ნარჩენების შეგროვებასა და უტილიზაციაზე პასუხისმგებელი პირი არის მოდულის განმახორციელებელი პირი. ასევე, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია მომსახურების ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შემსრულებელი კომპანია ვალდებულია მოახდინოს კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული სახიფათო ნარჩენების გატანა და უტილიზაცია კვირაში არანაკლებ 2-ჯერ. ხელშეკრულების მოქმედების 2024 წლის 31 დეკემბრი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მოცემული სერვისით სარგებლობის მტკიცებულებაც. კოლეჯში სასწავლო პროცესი საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებლად არის უზრუნველყოფილი და დანერგილი სისტემა ეფექტურად მოქმედებს, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და მოდულის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“, სადაც ასევე გაწერილია კოლეჯში ხარისის უზრუნველყოფის მექანიზმები. აღნიშნული მოიცავს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებას. შეფასების მექნიზმებია: კოლეჯის დირექტორის მოადგილისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის საკმარისობა და რელევანტურობა, რაც ხორციელდება წელიწადში არანაკლებ ერთხელ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესწავლის შედეგების საფუძველზე, რესურსების განახლებას უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის მოადგილე. კოლეჯის რესურსებით პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევას ახორციელებს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. დაწესებულების მფლობელობაში არებული რესურსების ვიზუალური დათვალიერებითა და ფლობის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები.

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

კოლეჯში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები მამაკაცებისთვის და გამოყოფილია საპირფარეშო შშმ პირებისთვის. სანიტარული კვანძები მარაგდება წყლით, დამონტაჟებულია ხელსაბანები და ვენტილაცია. სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყლით, აქვს უწყვეტი განათება. სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

სასწავლებელში ყველა სასწავლო ფართი, რომელიც განკუთვნილია პროფესიულ სტუდენტებისა და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, ასევე ბიბლიოთეკა, უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით. აღნიშნული ინდიკატორის დაკმაყოფილება დადასტურებულია ვიზუალური დათვალიერებით

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში განთავსებული ყველა ფართი ემსახურება სასწავლო მიზნებს და დაგეგმარებულია იმგვარად , რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას, შესაბამისად ექსპერტთა შეფასების ინდიკატორის მოთხოვნა დაკმყოფილებულია.

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დაწესებულებაში საბიბლიოთეკო მომსახურებას ახორციელებს ბიბლიოთეკარი. მისი ფუნქცია მოვალეობები გაწერილია საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელ დებულებაში. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე გაწერილია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი, რეგისტრაციის წესები, მკითხველის ვალდებულებები საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილზე. სასწავლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის გარდა, კოლეჯის საბიბლიოთეკო სერვისი ასევე მოიცავს ასლის გადაღებას და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობას. საგანმანათლებლო რესურსები არსებობს მატერიალური და ელექტრონული სახით. პროფესიულ სტუდენტებს კოლეჯის ვებგვერდის საშუალებით წვდომა აქვთ კოლეჯის ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსზე. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და კოლეჯის წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ ინფორმაცია სისტემატიზებულია, საჭირო რესურსის მოძიება შესაძლებელია ეფექტურად და ამ რესურსებზე წვდომა შესაძლებელი დადგენილი წესით.

ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. კოლეჯის აზომვითი ნახაზი;
3. სააქციო საზოგადოება ,,დიალოგთან“ გაფორმებული ხელშეკრულება (11.04.2023)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ინვენტარიზაციის დოკუმენტები;
5. კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგები;
6. საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელიდებულება“;
7. შპს „მასტერ სერვის გრუპს“ და კოლეჯს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, კოლეჯის შენობაში ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობის თაობაზე;
8. შრომის უსაფრთოხების მექანიზმები (2019 წლის 31 დეკემბრის N87ბრძანება)
9. ინსტრუქტაჟების ჩატარების ჟურნალი;
10. მასალა-ნედლეულის აღრიცხვის ჟურნალი;
11. დაწესებულების პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები;
12. ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;**

დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო ორგანოს - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების სახანძრო ტექნიკური შემოწმების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოკვლევის 2022 წლის 10 ოქტომბრის №182 აქტი, რომელიც ადგენს კოლეჯის შპს „კოლეჯი მესამე სამედიცინოს“ (ს/კ 404935273) შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან. კოლეჯმა ასევე წარმოადგინა შპს „შენობა-ნაგებობათა სეისმური უსაფრთხოების ცენტრის“ მიერ მომზადებული დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, რომლის თანახმადაც შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 5 ივნისის №32 ბრძანებით დამტკიცებულია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“, რომლის მიხედვითაც, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისთვის კოლეჯში განსაზღვრულია ექთანი. დოკუმენტში გაწერილია მისი ფუნქცია მოვალეობები, კერძოდ კი ოლეჯის პერსონალის და სტუდენტებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების (112) გამოძახება. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული ექთნის ტელეფონის ნომერი და ასევე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ნომერი (112).

წინა წარმოების ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ ვინაიდან დაწესებულებაში არასათანადოდ მოქმედებდა პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, დაწესებულებაში მოწესრიგებას საჭიროებდა პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის სივრცე (სამედიცინო კაბინეტი), გასაახლებელი იყო სამედიცინო საშუალებები, უტილიზაციას საჭიროებდა ვადაგასული სამედიცინო საშუალებები, დაწესებულებაში არ იყო დარეგულირებული კვალიფიციური სამედიცინო პირის მომსახურება უწყვეტად სწავლისა და სამუშაო დროებში ვინაიდან ექთნის პოზიცია ბრძანებით ჰქონდა დაკისრებული პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც მუდმივად არ იმყოფებოდა კოლეჯში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად დაათვალიერა პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის განკუთვნილი სივრცე, რომლებიც აღჭურვილია ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით. კოლეჯმა წარმოადგინა ვადაგასული სამედიცინო საშუალებების უტილიზაციის აქტი. დაწესებულებამ ექთნის პოზიციაზე ხელშეკრულება გაუფორმა კოლეჯის ,,საექთნო განათლების" პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის კურსამთავრებულს, რომელიც უწყვეტად უზრუნველყოფს პირველადი გადაუდებელი დახმარების მომსახურებას როგორც დაწესებულების პერსონალის, ასევე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;**

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 05 ოქტომბრის № 39 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა",რომელიც შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. გეგმაში გაწერილია საგანგებო სიტუაციაში შესასრულებელი მოქმედებების თანმიმდევრობა და პასუხისმგებელი პირები. გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს, თანამშრომლების, სტუდენტების და მატერიალურ ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას. კოლეჯში შექმნილია საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების შტაბი/ჯგუფი. კოლეჯი უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობას ყველა სტუდენტისათვის და თანამშრომლისთვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. კოლეჯის შენობაში გამოკრულია სათანადო სტანდარტების შესაბამისი საევაკუაციო გეგმები, კოლეჯი აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი კამერები, ფუნქციონირებს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. იმ სივრცეებში, სადაც მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი, განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნებიც. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“, რომლითაც განსაზღვრულია უსაფრთხო სამუშაო გარემოსა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი-კომენდანტი. ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას დგინდება რომ აღნიშნული პოზიცია ვაკანტურია და უახლოეს მომავალში იგეგმება შესამბამისი კადრის აყვანა. კოლეჯში ვიდეოკონტროლის სისტემის მუშაობის მონიტორინგს ახორციელებს კოლეჯის დირექტორის მოადგილე, ამოწმებს საევაკუაციო გასასვლელების მდგომარეობას, აკონტროლებს შენობაში პირთა მოძრაობას და ზრუნავს წესრიგის დაცვაზე. დაწესებულების მხრიდან დამატებით წარმოადგენილია ინვოისი შპს ,,სქაინეთ დისტრიბიუშენი''-თან, რომლიც უზრუნველყოფს თანამედროვე სათვალთვალო სისტემის მოწყობას მაღალი გარჩევადობით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სახანძრო უსაფრთხოების სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის 2022 წლის 10 ოქტომბრის №182 აქტი;
- მომზადებული დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ;
- „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“;
- „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“;
- „საგანმანათლებლო დაწეებულების მარეგულირებელი დებულება“
- ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება, პირადი საქმე;
- შპს ,,სქაინეთ დისტრიბიუშენის“ ინვოისი;
- კოლეჯის პერსონათან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;**

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“, რომლის მიხედვითაც კოლეჯში ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურებას ახორციელებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IT მენეჯერი. IT მენეჯერი პასუხისმგებელია კოლეჯში კომპიუტერული ტექნიკის გამართულ ფუნქციონირებასა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე. კოლეჯს შემუშავებული აქვს აგრეთვე „IT ტექნოლოგიების მართვის წესი“ - დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 31 მაისის №14 ბრძანებით. აღნიშნული წესი ადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს და პოლიტიკას. კოლეჯში დასაქმებული პერსონალის და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი პარამეტრების მქონე კომპიუტერებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის და ადმინისტრაციული მუშაობის შეუფერხებლად წარმართვას. კოლეჯი უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტ მომსახურებით, რასაც ადასტურებს ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება და ადგილზე ინტერნტ მომსახურებით ფაქტობრივად სარგებლობის შედეგები.

დაწესებულების პესონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას მათ კმაყოფილება გამოთქვეს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით და ასევე IT მენეჯერის მომსახურებით.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;**

დაწესებულებაში საინფომაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის პროცედურას ახორციელებს IT მენეჯერი, რომელიც კოლეჯის დირექტორის მოადილესთან კოორდინაციით ახდენს ინფორმაციული ტექნოლოგიების შეფასებას.კოლეჯში განსაზღვრული საინფორმაციო ტექნოლოგიების შეფასების და IT რისკების მართვის პროცედურა გულისხმობს რისკების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებას, მოსალოდნელ შედეგებს და პრევენციის გზებს. სასწავლო პროცესის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ IT მენეჯერი ახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მდგომარეობის შეფასებას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორის მოადგილეს. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილია IT მენეჯერის ანგარიშები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული და 2020 წლის 4 ივლისის №19 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები“, რომელიც შესაბამისობაშია ”პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონთან. დოკუმენტით განსაზღვრულია რეგულაციის მოქმედების სფერო, მონაცემთა დამუშავების პრინციპები და საფუძვლები, ინფორმაცია განსაკუთრებულ და ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავების შესახებ, ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ და სხვა დამატებითი ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით. კოლეჯი ამუშავებს ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების პერსონალურ მონაცემებს. პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს საკუთარი საქმიანობის კომპეტენციის ფარგლებში. პერსონალური მონაცემების დამუშავებამდე კოლეჯი ვალდებულია მოიპოვოს სუბიექტის თანხმობა, თანხმობის ფაქტი დასტურდება ხელშეკრულებაზე ხელმოწერით და წერილობითი ფორმით. პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე კოლეჯი პროფესიული სტუდენტისგან თანხმობას მოიპოვებს წერილობითი სახით. წერილობითი თანხმობა ინახება თითოეული პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში, რასაც ადასტურებს პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე და პროფესიული სტუდენტების ინტერვიურების შედეგები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

დირექტორის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებაში გაწერილია ხარისხის მექანიზმები, რომლის მიხედვითაც ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პერიოდულად ატარებს კოლეჯის პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას. საჭიორობის შემთხვევაში კვლევის ანალიზის მიხედვთ იგეგმება გაუმჯობესების ნაბიჯები.

კოლეჯში ვიზიტისას პერსონალმა და პროფესიულმა სტუდენტებმა კმაყოფილება გამოთქვეს კომპიუტერული ტექნიკითა და პროგრამული უზრუნველყოფის მდგომარეობით. დაწესებულების IT მენეჯერი პერიოდულად ახორციელებს IT პროცესების სისტემების ეფექტიანობისა და IT რისკების შეფასების, რის დასტურადაც წამოდგენილია ანგარიშგების დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

დაწესებულების რეგულაციის თანახმად, კოლეჯში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურეობა ხელმისაწვდომია კოლეჯის პერსონალისა და სტუდენტებისათვის.
კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა დასაშვებია სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის შეუზღუდავად. კოლეჯში ინფორმაციის ტექნოლოგიების გამართულობასა და ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელია IT მენეჯერი. კოლეჯში უზრუნველყოფილია ინტერნეტით შეუზღუდავი სარგებლობა უკაბელო ინტერნეტით (Wi-Fi). კოლეჯის პერსონალის და პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან, პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგადაც.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დაწესებულებაში კომუნიკაციის მიზნით, გამოყენებულია ელექტრონული ფოსტები, რომლებიც ამოქმედებულია ოფიციალური დომეინით. ასევე პროფესიულ სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ სოციალურ ქსელში შექმნილი დახურული ჯგუფები, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციის მხრიდან იტვირთება სასწავლო განრიგი და ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სასწავლო რესურსები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“;
2. „IT ტექნოლოგიების მართვის წესი“;
3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
4. IT მენეჯერის ფუნქცია- მოვალეებები;
5. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები“;
6. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 19 მარტის №16 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების ინსტრუქცია“.უკანასკნელი ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 2023 წლის 4 ნოემბერის N66 ბრძანებით. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. კოლეჯში ფუნქციონირებს EFLOW-ს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა. საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია ადგენს კოლეჯში დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობებს, დოკუმენტებზე მუშაობის წესს, ბრძანებების, ხელშეკრულებების, მემორანდუმების, ოქმების, აქტების, განცხადებების, წერილების, შემოსული და გასული კორესპონდენციის მომზადების წესებს. საქმისწარმოების ინსტრუქციით განსაზღვრული მუშაობის წესის დაცვა სავალდებულოა კოლეჯის ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის/პირისთვის. კოლეჯს საქმისწარმოების ინსტრუქციით ასევე განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტების მიერ შექმნილი მტკიცებულებების აღრიცხვის, შენახვისა და განკარგვის, მათ შორის დაარქივების და განადგურების წესები. ექსპერტთა მიერ დათვალიერებულ იქნა დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები, რომლებიც არის დანომრილი, ზონარგაყრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული.კოლეჯში მოქმედი საქმისწარმოების ერთიანი წესი შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და თანხვედრაშია საქმისწარმოების ერთიან ინსტრუქციასთან. თუმცა კოლეჯის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული პროცედურა ძირითადად ორინეტირებულია მატერიალური საქმისწარმოების ორგანიზებაზე.

წინა წარმოების ფარგლებში ექპსერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო განმავთარებელი რეკომენდაცია „წესში მხოლოდ ერთი ჩანაწერი არსებობს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის არსებობის შესახებ, შესაბამისად რეკომენდებულია ზემოაღნიშნული საქმისწარმოების წესით განისაზღვროს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის ფუნქციონირების სპეციფიკა და დოკუმენტბრუნვის ორგანიზების საკითხები მოვიდეს შესაბამისობაში კოლეჯში დანერგილ სისტემასთან (“eflow”)“

მიმდინარე წარმოების ფარგლებში აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების მხრიდან კვლავ შესასრულებელია. მიმდინარე წარმოების ფარგელბში ექსპერტთა ჯგუფის განმავითარებელი რეკომენდაციაა „საქმისწარმოების ინსტრუქციაში“ ჩაიშალოს როგორ ხორციელდება შიდა დოკუმენტბრუნვა, ასევე დოკუმენტბრუნვის გაუმჯობესებისა და მიმოცვლის გამარტივების მიზნით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია დამატებით შეიძინოს ელექტრონული სისტემის (eflow) მომხმარებელი ადმინისტრაციული პერსონალისთვის და დაგეგმოს მიზნობრივი ტრენინგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

წინა წარმოების ფარგლებში ინდიკატორის მოთხოვნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან ექტრონული საქმისწარმოების სისტემაის გამოყენება მიჩნეული იყო არასისტემურად. არ იძებნებოდა პროფესიულ სტუდენტთა განცხადებები და სხვა დოკუმენტები.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა საქმისწამორბის ელექტორნული სისტემა. 2023 წლის მიღების ფარგლებში ატვირთულია პროფესიულ სტუდენტთა განცხადებები, ასევე სისტემაში მომზადებულია ცნობები პროფესიული სტუდენტებისათვის, ატვირთულია შემოსული დოკუმენტები და მიცემული აქვს შესაბამისი მსვლელობა. ექსპერტთა შეფასებით ხარვეზი გამოსწორებულია და შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“, რომლის მიხედვით პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელი პირი არის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. ვიზიტის ფარგლებში, განხორციელდა ექსპერტებისთვის ბაზაში შეტანილი ინფორმაციის ჩვენება, გადამოწმდა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვის საკითხები კანონმდებლობით დადგენილი წესსა და ვადებთან მიმართებით, რისი გადამოწმების შედეგებიც დამაკმაყოფილებელია. შესაბამისად, ექსპერტების მიერ დადასტურებულია, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. კოლეჯში არსებობს პირი, რომელიც პასუხისმგებელია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვაზე და პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

„საქმისწარმოების ინსტრუქციის“ მიხედვით განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. კოლეჯში დოკუმენტების შესრულებასა და დროულ რეაგირებაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მიღებული/გაგზავნილი ბოლო კორესპონდენცია, რომლის მიღებისა და გაგზავნისას დაცულია გონივრული და განსაზღვრული ვადები.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი;
2. ,,საქმიწარმოების ინსტრუქცია „;
3. „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“;
4. სარეგისტრაციო ჟურნალები;
5. ელექტრონული სისტემის დათვალიერების შედეგები;
6. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დათვალიერების შედეგები;

გასაუბრება შესამოწმებელ საკითხთზე პასუხისმგებელ პირებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;**

კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდია- https://medicalschool-3.edu.ge/,სადაც განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, დაწესებულების საქმიანობა, სტრუქტურა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მარეგულირებელი აქტები, ინფორმაცია დაწესებულების პერსონალის, კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ, პარტნიორი ორგანიზაციები, და ა.შ. ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებისას გათვალისწინებულია ინფორმაციის გონივრულ ვადებში მიღების ინტერესი; ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში. დაწესებულების სოციალური ქსელია https://www.facebook.com/mesamesamedicino, რომელიც აქტიურად არის გამოყენებული დაწესებულების მიერ.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

დაწესებულების მისიაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, შესაბამისად კოლეჯს აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

ექპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დალმაყოფილებულია

3. **პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;**

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმებს, საინფორმაციო საშუალებების მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. კოლეჯის თანამშრომლები შიდა და გარე კომუნიკაციას ახორციელებენ საკუთარი საქმიანობის კომპეტენციის ფარგლებში. ხოლო, ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში შემოსულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის და საჭიროების შემთხვევაში, გადამისამართების პრეროგატივა აქვს IT მენეჯერს, რომელიც ასევე პასუხისმგებელია სოციალურ ქსელსა და ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე. კოლეჯი ვებგვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით, ავრცელებს სანდო და უტყუარ ინფორმაციას. ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობა, ინფორმაცია იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვს მოპოვებული.

ექპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;**

დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას კოლეჯის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროფესიული პროგრამების კატალოგი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების დასახელების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამის მიზნების, დაშვების წინაპირობების, პროგრამის მოცულობისა და ხანგრძლივობის შესახებ. ასევე, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს, პროგრამის განხორციელების ადგილს, ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელისა და პარტნიორი ორგანიზაციების /პრაქტიკის ობიექტების შესახებ. კოლეჯის კატალოგს დაწესებულებისთვის სარეკლამო სახის დანიშნულება აქვს და დაინტერესებულ პირს აწვდის მნიშვნელოვან მესიჯებს იმაზე თუ რას წარმოდგენს, რა არის მისი მიზანი, რა არის მისი ძირითადი ფასეულობები.

5. **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;**

კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რის დასტურადაც კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი, 2020, 2021, 2022 წლები, კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2023.

ექპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კოლეჯის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. კოლეჯის საკომუნიკაციო არხებიდან, ოფიციალური სოციალური ქსელიდან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონული ფორმის ტიპის გამოკითხვებიდან, ელექტრონული მეილებიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში, ხდება სათანადო რეაგირება. ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის შედეგად მიღებულ უკუკავშირი მუშავდება კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ, მოვალეობების შესაბამისად და გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის გასაუმჯობესებლად

ექპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1.კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის №67 ბრძანებით დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი“;

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2019, 2020, 2021, 2022;

3. IT მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;

4. კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

5. კოლეჯის სოციალური ქსელი და ვებგვერდი

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;**

კოლეჯის შემოსავლების წყაროა პროფესიულ სტუდენტთა სწავლის საფასურის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ვაუჩერული დაფინანსება. კოლეჯის ბუღალტერი კალენდარული წლის დასაწყისში განსაზღვრავს დაწესებულების საპროგრანოზო შემოსავლებსა და ხარჯებს, ხოლო სამეურნეო წლის დასრულებისას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების ანალიზს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განხორციელებული აქტივობები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით, რაც დასტურდება კოლეჯის მიერ სამოქმედო გეგმების შესრულების ანალიზის დოკუმენტებით და კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტებით. ბუღალტერთან ჩატარებული გასაუბრებითა და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება დაწესებულების ფინანსური რესურსით მდგრადობა. შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;**

დაწსებულების მხრიდან წარმოდგენილია სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ფინანსური დოკუმენტები, საგადახდო დავალებები და სხვა, რის საფუძველზეც ირკვევა, რომ კოლეჯში ახორციელებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას.

წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია - შემოსავლების დივერსიფიცირებული წყაროების არსებობა, რისთვისაც კოლეჯმა უნდა გააქტიუროს მუშაობა მოკლევადიანი კურსების, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვის, შესაბამისი დაფინანსების მოპოვების და სხვა მიმართულებით. მიმიდინარე წარმოების ფარგლებში დაწესებულების ბუღალტერმა და დირექტორმა ინტერვიუს დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფს გაუზიარა უახლოესი გეგმა, რომელიც დაწესებულებას ფინანსურად გააძლიერებს. კერძოდ კი კოლეჯი გეგმავს სამედიცინო მიმართულებით 2 ახალი პროგრამის დამატებას, მას შემდეგ რაც დამტკიცდება ახალი პროფესიული სტანდარტები.

ექპერტთა შეფასებით აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

კოლეჯი ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს და ახორციელებს ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე ყოველწლიური ფინანსური ანგარიშის განთავსებას, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა შემოსავლების სამსახურის შესაბამის პორტალზე კოლეჯის ბუღალტრის მიერ მონაცემების ჩვენებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია,

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კოლეჯი ყოველწლიურად ახორციელებს დაწესებულების ბიუჯეტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშს, რომელსაც იხილავს კოლეჯის დირექტორთან. მოცემული ანალიზის შესაბამისად ახორციელებს მომდევნო წლის ბიუჯეტების შემუშავებას. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის ბუღალტერს, რომელმაც დეტალურად აღწერა დაწესებულებაში საფინანსო პოლიტიკის განხორციელების მიდგომები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია,

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები,

2. სამოქმედო გეგმების შესრულების დოკუმენტები;

3. შემოსავლების სამსახურის შესაბამის პორტალზე განთავსებული ფინანსური აღრიცხვის დოკუმენტები;

4. კოლეჯის პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიურების შედეგები..

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი. წერეთელის გამზ. 142

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	40 (კოოპერაციული)
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	40 (კოოპერაციული)
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 04 ნოემბრის N 66 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“, რომლითაც დარეგულირებულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. საგანმანათლებლო პროცესს ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი რომელიც, კოორდინაციას უწევს კოლეჯში სასწავლო პროცესს და პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ეფექტურად ორგანიზებასა და მართვაზე. კოლეჯში მეცადინეობები ტარდება პროგრამის სასწავლო გეგმის საფუძველზე შედგენილი სასწავლო გრაფიკის შესაბამისად. მეცადინეობათა ცხრილი განთავსებულია დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს კალენდარული გეგმის ფორმა, რომელსაც მოდულის დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებლები წარადგენენ სასწავლო პროცესის მენეჯერთან. ნიმუშის სახით გაანალიზდა ოთხი მოდულის კალენდარული გეგმა (ანატომია - ფიზიოლოგია; მცირე შფუთვებადმზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა-მარკირება, სამკურნალო მცენარეული,მინერალური და ცხოველური ნედლეული; და ფარმაკოლოგია).

ვიზიტის დროს შედგა ინტერვიუ სასწავლო პროცესის მართვასა და ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებთან. გადამოწმდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობა პროგრამის სასწავლო გეგმასთან მიმართებაში. დადასტურებულია სასწავლო გეგმის, მოდულისა და კალენდარული გეგმების შესაბამისად მეცადინეობათა მიმდინარეობა.

წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია -,,პარტნიორი დაწესებულების ბაზაზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დადასტურების, განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროცესების მართვისთვის გამოიყენოს პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობებზე აღრიცხვის, პროფესიულ სტუდენტთა ჩანაწერების წარმოების, სწავლებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რელევანტურობის შეფასების, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების დანერგვა და გამოყენება.“ მიმდინარე წარმოების ფარგლებში -ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა არსებული პრაქტიკა პარტნიორ კომპანიებში პროფესიულ სტუდენტთა განაწილებასა და სწავლებასთან დაკავშირებით. ვიზიტის პერიოდისთვის პირველკურსელებს გავლილი ჰქონდათ პრაქტიკული კომპონენტი ორი მოდულის ფარგლებში (სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; და ,,მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება - შეფუთვა, მარკირება“) პარტნიორ სააფთიაქო ქსელში- შპს ,,ავერსი ფარმა“. დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტთ მეცადინეობის აღრიცხვისა და ჩანაწერების წარმოების ჟურნალები. კომპანიაში სწავლება ხორციელდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში. აღნიშნული დადასტურებულია პროფესიულ სტუდენტთა განაწილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან (შპს ,,ავერსი ფარმა“) გასაუბრებით.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკაატორს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 21 თებერვლის N9 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულება“ და კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 04 დეკემბრის N67 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“ განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ადმინისტრირებისა და ამ პროცესში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმებს. პროფესიულ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე ხორციელდება საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრები, რა დროსაც მათ მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია პროგრამის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების, პროგრამის განხორციელების თავისებურებებისა და სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურებისა და მიღებული შეფასების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფსა და სხვა საკითხების შესახებ.

ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს და პროფესიული განათლების მასწავლებლებს. პროფესიულმა სტუდენტებმა ისაუბრეს იმის თაობაზე, რომ პარტნიორ ორგანიზაციებში პროფესიულ სტუდენტთა განაწილებისას კოლეჯმა გაითვალისწინა მათი ინტერესები და ყველა სტუდენტს მიეცა საშუალება სწავლება გაევლოთ რეალურ სამუშაო გარემოში კომპანიაში შპს ,,ავერსი ფარმა"-ში საცხოვრებელ ადგილთან ახლოს განლაგებულ ფილიალში.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკაატირს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამის შესაბამისი სასწავლო რესურსი და მატერიალური ბაზა იძლევა იმის გარანტიას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით. დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროება ძირითადად დგება პროფესიული მოდულების განხორციელებისას. ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებელს გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სისტემატურად კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომლის შედგენის აუცილებლობა წარმოიშობა შემდეგი გარემოებების არსებობისას: სსსმ და შშმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და ვერ აღწევს/ვერ ადასტურებს სწავლის შედეგებს, მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან, პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ორ კვირაზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პირი, რომელიც დაგვიანებით შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტებისათვის მიღებული განათლების აღიარება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელება შეცვლილ/მონათესავე/სხვა პროგრამაზე. საანგარიშო პერიოდში კოლეჯს არ ჰყავდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტი.

პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთან გასაუბრებით დგინებდა რომ კოლეჯი მაქსიმალურად ითვალისწინებს მათ საჭიროებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ფარმაცევტულ დაწესებულებასთან(შპს „ავერსი ფარმა“სთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)პრაქტიკული სწავლების განხორციელებისთთვის კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულება. თბილისი 2022. 8 დეკემბერი. ხელშეკრულებას თან ახლავს 3 დანართი.

დანართი 1. მოდულთა ჩამონათვალი, რომელსაც გადიან აღნიშნული პრაქტიკის ობიექტზე;

დანართი 2. სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართი 3. მატერიალურ -ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი.

პარტნიორ ორგანიზაციაში გათვალისწინებულია 8 პროფესიული მოდულის პრაქტიკული კომპონენტის სწავლება.

1. "სანიტარიულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში";
2. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება";
3. „პროდუქციის მიღება განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება";
4. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში";
5. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა";
6. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა";
7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის/საშუალებების შერჩევა";
8. „მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა"

მისაღები პროფესიული სტუდენტების ოდენობის გათვალისწინებით ჯამში ხელშეკრულება გაფორმებულია 40 პროფესიული სტუდენტის სწავლებაზე. ერთ ცვლაში შესაძლებელია თითო აფთიაქში ორი პროფესიული სტუდენტის სწავლება.

ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს რომ შპს „ავერსი ფარმას „-თან დადებულ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაში წარმოდგენილია თანამშრომლობის პირობები და მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. ხელმოწერებით დადასტურებულია პარტნიორთა მიერ კორესპონდენციების ჩაბარება და შევსებული პარტნიორი კომპანიის კითხვარები. ასევე ექსპერტებმა გადაამოწმეს პრაქტიკის ობიექტზე გადანაწილების ცხრილი (14 დეკემბერი.2023 წ.), და ავერსის დირექტორის სახელზე გადაგზავნილი სტუდენტთა სიები (N00015408. 04.12.2023).

წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფსი მიერ გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია- ,,დაწესებულებამ შეიმუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული სუბიექტის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესი საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის 5.5 პუნქტის შესაბამისად“

მიმდინარე წამრობის ფაეგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა პრაქტიკის ობიექტის შეფასების ფურცელი, სადაც აფასებს პარტნიორ კომპანიას დადგენილების შესაბამისი კრიტერიუმიების მიხედვით.

შესაბამისად აღნიშნული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის N87 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების წესები, რომელიც არეგულირებს შრომის უსაფრთხოების ნორმებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ,,ფარმაცია(სააფთიაქო)“. წესი გამოკრულია ლაბორატორიაში. ინსტრუქცია არეგულირებს ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და უსაფრთხოების ზოგად და ტექნიკურ წესებს, რომლის დაცვა ევალება ყველა ლაბორატორიაში მყოფ პირს.

C გარემოში განთავსებულია გამწოვი კარადა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების უსაფრთხოებას პრაქტიკული აქტივობის შესრულებისას. C გარემოში ასევე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. დაწესებულება სისტემატიურად ახდენს უსაფრთხოების საშუალებათა/პირადი დაცვის საშუალებათა შეძენას(ერთჯერადი ხელთათმანები, პირბადეები, ერთჯერადი ხალათები და სხვა) და გამოყენებას, რაც დასტურდება შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტაციით და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით. ლაბორატორიაში არსებული ნივთიერებები გარკვეულწილად მომწამვლელი და ცეცხლსაშიშია, ამიტომ აუცილებელია სისუფთავის და წესრიგის დაცვა. ლაბორატორიაში პროფესიული სტუდენტის მუშაობა დასაშვებია მხოლოდ პროფესიული განათლების მასწავლებლის ნებართვითა და მისი მეთვალყურეობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაც შეეხება ნარჩენების უტილიზაციის საკითხებს, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ეკოლაინთან“ (მომსახურების ხელშეკრულება) სახიფათო ნარჩენების უტილიზაციის შესახებ, რის მიხედვითაც, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ბიო- ქიმიური ნარჩენების გატანა სპეციალური კონტეინერებით.

არსებული მექანიზმებით და ვიზუალური დათვალიერებით დადასტურებულია, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2023 წლის 04 ნოემბრის N 66 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო საქმიანობის დებულება“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, კალენდარული გეგმების ნიმუშები;
- პრაქტიკის ობიექტზე გადანაწილების ცხრილი (14 დეკემბერი.2023 წ.),
- ხელშეკრულება კომპანია ,,ავერსი ფარმასთან“.
- ავერსის დირექტორის სახელზე გადაგზავნილი სტუდენტთა სიები (N00015408. 04.12.2023
- დირექტორის 2019 წლის 31 დეკემბრის N87 ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების წესები;
- პრაქტიკის ობიექტის შეფასების ფურცელი;
- ხელშეკრულება შპს „ეკოლაინთან“ ;
- *დირექტორის ბრძანებით N71 29 დეკემბერი20 21 წელი. დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი.*
- პროფესიულ სტუდენტთა პარტნიორ ორგანიზაციებში განაწილების მტკიცებულებები;
- „სტრატეგიული დაგეგმარების , მონიტორინგის და და შეფასების მეთოდოლოგია.“ დამტკიცებული თბილისის მესამე სამედიცინო კოლეჯის დირექტორის მიერ2023 წლის 31 მაისისN23 ბრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგი;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგი;
- დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგი;

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი“, სადაც მოცემულია ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასებასთან დაკავშირებით. კერძოდ, განსაზღვრულია შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, რომელი ინსტრუმენტი გამოიყენება განმეორებითი შეფასების დროს, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. ამასთან, დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ პროფესიულ სტუდენტს აქვს განმეორებითი შეფასებით სარგებლობის უფლება.

დაწესებულებაში ვიზიტისას შერჩევითად გადამოწმდა შეფასების პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებები. მათ შორის პრაქტიკული მოდულების და პრაქტიკის ჟურნალები, რომლებიც წარმოადგინა დაწესებულებამ, თუმცა ამის აუცილებლობა არ იყო. შეფასების ინსტრუმენტები ვალიდირებულია როგორც დარგის, ასევე განათლების ვალიდატორის მიერ. შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს ყველა იმ სავალდებულო ინფორმაციას, რაც გაწერილია მარეგულირებელი დოკუმენტით. დაცულია ასევე უწყისის გაფორმების წესიც. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესი მიმდინარეობს თანაბარ პირობებში და შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას იღებენ ინდივიდუალურად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის გათვალისწინებით. აღსანიშნავის ის გარემოება, რომ შეფასების ინსტრუმენტს თან ახლავს მატერიალური რესურსის ჩამონათვალიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

დაწესებულების ,,ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, ვერიფიკაციის პროცესს წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები, საჭიროების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები, კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა წარმოადგინა 2022-2023 წელის ვერიფიკაციის ანგარიში, სადაც ადაც ჩანს, რომ დაწესებულებამ ჩაატარა ვერიფიკაცია 2 პროგრამის ფარგლებში, შეადგინა რისკ ფაქტორები, მოიწვია ვერიფიკატორები და შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა რეკომენდაციები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულების პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესით განსაზღვრულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვისა და განკარგვის წესი, რომლის თანახმადაც, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა ინახება კოლეჯში სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით, ხოლო საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების შემდგომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და ოქმები ინახება უვადოდ. დაწესებულებამ წარმოადგინა ჟურნალი, სადაც ხდება მტკიცებულებებისა და უწყისების აღრიცხვა.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

დაწესებულების პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის მიხედვით, (მე -9 მუხლი პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მიღწეულ შედეგთან დაკავშირებით) შეფასების შემდეგ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს სამი დღისა). პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასების შედეგების გაცნობისას ინდივიდუალურად უწევენ კონსულტაციას დაშვებული შეცდომებისა და გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“ სასწავლო გეგმა, მოდულები;
- სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;
- ვერიფიკაციის მასალები;
- შეფასების უწყისები;
- შეფასების ინსტრუმენტები და შეფასების მტკიცებულებები;
- კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 04 ნოემბრის No66 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულების“ 32-ე მუხლი
- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთა ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

04.03.2023წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: